წ. I 1915 წ. პარასკევი 13 მარტი

# სამშობლო

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ც ა ლ კ ე ნ უ მ ე რ ი ე რ თ ი შ ა უ რ ი. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ი ს ფ ა ს ი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ტექსტის წინ 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 ს ა ა თ ს შ ე მ დ ე გ 4 მან.

№ 34 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 34

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.

## პეტრე ივანეს ძე მეფისაშვილი

გულითად მადლობას სწირავს იმ პირთ- რომელნიც მისი დაუვიწყარი შვილის, დიმიტრის, უდროოთ გარდაცვალების გამო მწუხარება გამოუცხადეს გასვენებაზედ თანდასწრებით, დეპეშებით, გვირგვინებით და პირადი სამძიმარით. საკუთარათ ღრმა მადლობას სწირავს: **ოდესაში** კაროზუს ოჯახს, პრ. დოც. მოსეშვილს, სტუდენტს სოსო ასლანიშვილს და მის და ელენეს, პროფესორთა საზოგადოებას და ქართველ სტუდენტობას. **ბათუმში** ქალაქის თავს თ. ანდრონიკოვს, გამგეობის წევრთ და დიდათ პატივცემულთ თანამოხელეთ. **ბათუმში და ქუთაისში** ყველა ნათესავებს და მეგობრებს, რომელნიც ამ უბედურობით დამწუხრდენ და სამძიმარი გამოუცხადეს.

გამოუთქმელი მწუხარებით დამწვარნი მშობლები სტეფანე და მარიამი, მეუღლე ვერა, დები: ფილომინე, თამარა, ანა, ბარბარე, ძმა დავითი ფეიქრიშვილები და მამიდა ელისაბედ ქურთიშვილისა აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოთ გადაცვალებას ქ. ფლორენციაში 6 მარტს

## პავლე სტეფანეს ძის ფეიქრიშვილისას.

წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება შაბათს, 14 ამ თვეს, დილის 9 საათზე, ქუთაისის რ. კათოლიკეთა ეკლესიაში.

3—3—93

## ქალაქის თეატრი

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ დღეს, პარასკევს, 13 მარტს, წარმოდგ. იქნება **გრიგოლ ჩარკვიანის სასარგებლოდ** ალ. ყაზბეგის ორიგინალური პიესა

1. **არსენა**

დრამა 3 მოქმედ. ალ. ყაზბეგის

2. ვალ. გუნიას ვოდევილი

**მონადირე**

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე** რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.
ადმინისტრატორი ვასო ურუშაძე. **ადგილების ფასი დაკლებულია**

**ა ნ ო ნ ს ი:** ჰამლეტი, დაძირული ზარი, დღენი ჩვენი ცხოვრებისა, იუდას მემკვიდრე.

ყოველი მეაბრეშუმესათვის ცნობილი ფირმის

## ძმათა პასხალიდის

აბრეშუმის თესლი უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში **ნიკიფორე მ. ჯანელიძის** მაღაზიაში; **ბათომსა** და **ჭიათურაში მ. ს. მანუილიდის** კანტორაში და ახალსენაკში **ილია იაკიმიდის** მაღაზიაში ხელსაყრელ ფასათ. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე. თ. 69.

დაიბეჭდა და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიას მოუვიდა გასაყიდათ **ნ. ს. ჯორჯიკიას** შემდეგი რუსული წიგნი:

„Критика психологической теорiи права“
Проф. Л. I. Петрожецкаго. ფასი 6 შაური თ.

**უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია**

## პ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში

**ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.**

**პ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში** მოიპოვება ყოველ გვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე **კალენდრები 1915 წლის**: ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული კარტები, მათ შორის **ომის კარტები** დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

— კატალოგები უფასოთ — თ.

ქუთაისი გიმნაზიის ქ., საკუთ. სახლი. **მოსკოვის ფირმის** ქუთაისი გიმნაზიის ქ., საკუთ. სახლი.

ამხ-ბა **„ნ. უდალოვი და ი. ვავილოვი“-ს**

სამანიფაქტურო მაღაზიაში

მიღებულია და იყიდება დიდძალი ასარჩევი ახალ-მოდის საქონელი,

ა ბ რ ე შ უ მ ე უ ლ ო ბ ა,
შ ა ლ ე უ ლ ო ბ ა,
მ ა უ დ ე უ ლ ო ბ ა
დ ა ბ ა მ ბ ე უ ლ ო ბ ა.

განსაკუთრებით საყურადღებოა ქალების კასტიუმებისათვის:

**„ხავერდი—შიფონი“ „კრეპ—აბრეტინი“ და „კოტლე—ნოველი“ მანტოსათვის:**

„ფ ა ი—რ ე ნ ე“ და „ფ ა ი—შ ი კ.“

აგრეთვე იყიდება ჩვენთან პროხოროვის ტრიოხგორნი მანუფაქტურის ნაწარმოები.

**ფასები შეღავათიანი** თ.

## ამერიკული მწარე ვაზი *(rupestris)*

მშრალ მიწაზე გაზრდილი, იყიდება ზომიერ ფასათ, იკითხეთ კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში. თ.

**კბილის მენადარიშრილი და ტრუფაექიმები. ნოვა.** დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

**ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.** შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

**ექიმი ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე. დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

**ბებია მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევადარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**სტუდენტი ვარლამ ფერაძე** (9 წლის პრაქტიკით)

**ვამზადებ და ვუსწორებ** გაკვეთილებს ყველა კლასების მოწაფეებს **ყველა საგანში.** (სპეც.: რუსული, ლათინური, მათემატიკა და ფიზიკა). შედგა ჯგუფები სხვადასხვა კლასისათვის, აფთიაქის მოწაფეების, ჩინზე, სიმწიფ. მოწმობ. და სხვა.

მისამართი: ჭავჭავაძის ქუჩა, ციხის იქით, იკითხეთ ლეჟავას მაღაზიაში დევიძის სახლი.

# ომი.

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

**პეტროგრადი 10 მარტი.** პეტროგრადის დეპეშათა სააგენტომ გამოაქვეყნა რა დეპეშა სევასტოპოლიდან მიღებული, რომელიც შეიცავდა ქალ. ვიეწდან გერმანიის ემისარის უგვანო მოხსენებას, მხედველობაში ჰქონდა ის, რომ ამ დეპეშაში მოთავსებული ცნობა ყველასათვის საყურადღებო მოვლენას წარმოადგენდა, როგორც ნიმუში გერმანიის დიპლომატიის ჩვეულებრივი ფანდისა, რომლითაც ესწრაფვის ქართველი ხალხის ღრმა პატრიოტიზმის წყალობით შური და ამბოხება ჩამოაგდოს: ეს ფანდი გერმანიას არ გაუვიდა და თვით ცხოვრებამ გერმანელების ყველა ანგარიში გააბათილა. აი სწორეთ ასეთი მოსაზრებით პეტროგრადის დეპეშათა სააგენტომ განუმარტებლათ გამოაქვეყნა ზემოთ აღნიშნული დეპეშა.

**რუსეთ-გერმანიის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 10 მარტი. ლუტოვის რაიონში, 7 მარტს, ჩვენ მდ. სანზე ფონდაფონ გავედით, წყალი ყელამდის გვწვდებოდა. გასვლის უმალ მტერს ხიშტებით შევუტიეთ და ზატვორნიცის სიმაღლეები დავიჭირეთ, 16 აფიცერი და 480 ჯარისკაცი დავატყვევეთ—კიდევ ტყვეთ ჩაგვივარდა 21 აფიცერი და 80 ჯარისკაცი, 2 ტყვიისმტყორცნელიც ვიხელთეთ. ხმელის სამხრეთით მტრის გამაგრებული სიმაღლეები დავიჭირეთ, 900 ჯარისკაცი და 20 აფიცერი დავატყვევეთ, 3 საველე ზარბაზანი და 3 ტყვიისმტყორცნელი ვიხელთეთ. დიდიუბიდან მტერი გავსდევნეთ, ხიშტიანი ბრძოლით მესამე ხაზი დავიჭირეთ, ხელოვნური დაბრკოლებანი გადავლახეთ, დავიჭირეთ სიმაღლეები და ბევრი დავატყვევეთ. 9 მარტს, ღამის განმავლობაში ბრძოლა არ შეწყვეტილა. სმოლნიკისა და ტარნოვის ფრონტზე ავსტრიელები გააფთრებული იერიშით გვიხვდებოდენ, მაგრამ ჩვენ მოურიდებლათ წინ მივიწევდით. ადგილ-ადგილ ჩვენ ჯარს 17 იერიშის მოგერება უხდებოდა ხოლმე. სურიის გეზით, პრავჩაკის ნაწილში, ღამით, 8 მარტს, გერმანელებმა ჩვენზე იერიშების მთელი რიგი მოიტანეს, მაგრამ ჩვენგან მოგერებულ იქნა. როსოხაჩოსთან გაალმასებულ იერიშს ქონდა ადგილი. ერთდროულათ კაზიუკთან 9-ჯერ მოიტანეს იერიში, მაგრამ უკუვაგდეთ. ტყვეების გადმოცემით, ზოგ როტაში ერთი კაციც არ გადარჩენილა ცოცხალი. მარმაროშის გეზით ბრძოლა არ მომხდარა.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** 10 მარტი. ოფიციალური. დღის 3 საათზე მტერმა რეიმსს ყუმბარები დაუშინა, ამასთან გერმანიის ავიატორებიც მაღლიდან ყუმბარებს ისროდენ. მოკლულია სამი მოქალაქე. შამპანში ალ მოსავლეთით 126 მეტრის სიმაღლეზე ჩვენ ცოტათი წინ წავიწიეთ. არგონებზე, ბაგატელთან, მტერმა ორი თავგანწირული იერიში მოიტანა იმ მიზნით, რომ წარსულ კვირას ჩვენ მიერ აღებული ადგილები დაებრუნებინათ. იერიში მოგერებულ იქნა.

ზავისლიანის რაიონში მდგომარეობა უცვლელია. გალიციაში ამ დღეებში გაცხარებული ბრძოლაა დუკლინისა, მეზალაბორჩისა და ბალიგროდის გეზით, სადაც წარმატებით ჩვენ შეტევას განვაგრძობდით. სტრისის გეზით ბრძოლა გრძელდებოდა. 7 მარტს, სვიდნიკის რაიონში ავსტრიელებმა ჩვენ შეტევას ვერ გაუძლეს, თავის სიმაგრე-ადგილებს თავი მიანებეს და უკან დაიხიეს. ორლინის სიმაღლეების მთელი რიგი დავიჭირეთ. შევავიწროეთ რა მტერი კურიმოკის ჩრდილოეთით, ჩვენ ერთი სიმაღლე დავიჭირეთ და განვაგრძეთ ბრძოლა სმოლოვსკის ასაღებათ. შეუწყვეტელი ბრძოლის შემდეგ 9 მარტს, ღამით, ჩვენ ჩერნინის სიმაღლე დავიჭირეთ. დღით, 6 მარტს, ჩვენ ტყვეთ 7 აფიცერი და 4000 ჯარისკაცი წამოვიყვანეთ. 14 ტყვიის მტყორცნელი ვიხელთეთ. მეზალაბორჩის გეზით, 7 მარტს, ჩვენ იზსტკოვისა და ვირავის სიმაღლეები დავიჭირეთ. მტერი დიდ წინააღმდეგობას გვიწევს, ხუთჯერ მოიტანა კონტრიერიში. მტრის პოზიციების ნაწილებს თანდათან ვიჭერთ. დავიჭირეთ აგრეთვე ზუნკოსა, ბოსა და ლამიხოვის სიმაღლეები. 6 მარტის, განმავლობაში ავსტრიელებმა მთელი თავისი ძლევა მოსილებით კონტრიერიში მოიტანეს ბირავთან, სადაც რვაჯერ ზედიზედ შეგვიტიეს. ბალისხოდის გეზით ჩვენ შეტევას ვაძლიერებდით. 6 მარტს, მტრის ხელოვნური დაბრკოლებანი გადავლახეთ და მოურიდებელი ხიშტიანი იერიშით მიხუვის სამხრეთით თხრილები დავიჭირეთ, 600 კაცი დავატყვევეთ და 3 ტყვიისმტყორცნელი ვიხელთეთ. რაბეში ავსტრიელების შეუპოვარი წინააღმდეგობა შევბორკეთ და საღამოს ხიშტიანი ბრძოლით სიმაღლეები დივიკავეთ, რომლის დროსაც ავსტრიელების მთელი სამი როტა დავატყვევეთ. 9 მარტს, სიმაგრე და სოფელი რაზე ავიღეთ და 500 ტყვეთ წამოვიყვანეთ.

**პარიზი.** 10 ოფიც. საღამოს თერთმეტ საათზე, ბელგიაში იზეპორის რაიონში ჩვენი არტილერიის ცეცხლით მტრის საზვერავი ადგილები სულ განადგურებულია. გერმანელები ამ ადგილებიდან გარბოდენ. არასის ჩრდილო-დასავლეთით კარამსთან ჩვენ დავიჭირეთ მტრის ერთი თხრილი და რამდენიმე ჯარის კაცი დავატყვევეთ. სუასონთან მტერი ხელახლათ შეეცადა ქალაქზე ყუმბარების დაშენას, მაგრამ ჩვენი არტილერიის ცეცხლით შეჩერებულ იქნა. შამპანში ამ უკანასკნელ დღეებში ჩვენ მიერ აღებულ პოზიციას მტერმა ყუმბარები დაუშინა, თუმცა იერიში არ მოუტანია. ვოკუაში საყდრის ახლოს გაამფთრებულმა გერმანელებმა

# დღეს რა მოხდა.

### დასავლეთის ასპარეზი.

გერმანელები რეიმსს ყუმბარებს უშენენ.

ფრანგებმა ორლინის მთელი რიგი სიმაღლეებისა დაიკავეს.

სმოლნიკის ასალებათ ავსტრიელები ბრძოლას განაგრძობენ.

ფრანგებმა არტილერიის ცეცხლით გერმანელების საზვერავი ადგილები გაანადგურეს.

სუასონთან გერმანელები ქალაქს ყუმბარებს უშენენ.

ვოკუაში გერმანელებმა ფრანგების ერთ თხრილს მწვავე სითხე გადაასხეს.

### ოსმალეთის ასპარეზი.

ორი დღის ბრძოლის შემდეგ ოსმალები დამარცხდენ და დეიარისკენ დაიხიეს.

ჭოროხისა და ალაშქერის რაიონებში ბრძოლა დაიწყო.

### რუსეთ გერმანიის ასპარეზი.

რუსის ჯარი მდ. სანზე ფონდაფონ გავიდა და მტერზე ხიშტიანი იერიში მიიტანა, დაიჭირა ზატვორნიცის სიმაღლეები. ? დიდიუბიდან რუსებმა ავსტრიელები განდევნეს. ხიშტიანი ბრძოლით მტრის მესამე ხაზი ხელში ჩაიგდეს.

სმოლნიკისა და ტარნოვის რაიონში ავსტრიელები გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებენ.

ჩვენ ერთს თხრილს მწვავე სითხე გადაასხეს, აქ ჩვენ 15 მეტრ. უკან დავიხიეთ. ეპარჟთან მტერმა ორჯერ იერიში მოიტანა, მაგრამ შევაჩერეთ. გარტმანოვილერ-კოპერენთან ჩვენ რამდენიმე ხაზი, თხრილი და ერთი ბლოკგაუზი დავიჭირეთ.

**ლონდონი.** 10 მარტი. ფელდმარშალი თავის ცნობაში ამბობს, რომ 5 მარტიდან სრული სიჩუმეა. მტერი ხანდახანობით არტილერიის ცეცხლს აჩენდა თუმცა ინგლისელებისათვის ვნება არ მიუყენებია. გერმანელების მფრინავები ინგლისელების სიმაღლეებს ეფარებიან და ამნაირათ ინარჩუნებენ თავსო.

**ლონდონი.** 10 მარტი. ოფიციალური ცნობა, რომელიც გამოქვეყნებულია კაირსა და ზარში. 9 მარტს, ჩვენმა ერთმა პატრულთაგანმა ელკუბრიის სადარაჯო ადგილთან მტრის ერთი რაზმი აღმოაჩინა, რომელთანაც სუეცის პირდაპირ მცირე. შეტაკება მოუხდა. ჩვენმა მფრინავებმა ამ რაზმის ძალა გამორკვიეს. იგი შესდგებოდა ქვეითა ჯარისა, არტილერიისა და ცხენოსან ბატარეიასგან სულ 1000 კაცისაგან. ელკუბრთან ცეცხლი დაუშინეთ მტერს და დიდი ზარალი მივაყენეთ. რაზმა სუეცის არხის აღმოსავლეთით 9 მილზე დაშორებულ ბანაკისკენ დაიწია. 9 მარტს, დილა ადრიან ჩვენი რაზმი გენერალ, იონგრებენდის ხელმძღვანელობით მტერს დაეცა, სასტიკათ დაამარცხა და საჩქაროთ უკუაგდო. ტყვეები იტყობინებიან, რომ ოსმალებმა ბირელსაბადან 13 დღის განმავლობაში გზები გაიკაფესო. რაზმს თან მისდევდა გენერალი ფონ ტრაუმერი და გერმანელი სამი აფიცერი.

### ოსმალეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 10 მარტი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 8 მარტს, ჩვენსა და ოსმალეთის ჯარს შორის ჭოროხის მხარესა და ალაშქერის ველზე ბრძოლა დაიწყო. დანარჩენ ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

**პეტროგრადი.** 11 მარტი. ოფიციალური. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ორი დღის ბრძოლის შემდეგ ზეიდეკიასთან ალაშქერის ველზე, 9 მარტს, ოსმალები უკუვაქციეთ. დეიარის გასწვრივ ჩვენმა ჯარმა ოსმალების 3 როტა დაატყვევა და საომარი მასალაც ბევრი იგდო ხელთ. დანარჩენ ბრძოლის ხაზებზე მდგომარეობა უცვლელია.

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

— —

ხმებია ოსმალეთის პარლამენტის თავჯდომარემ ხალილ ბეიმ სამი დღის სოფიაში ყოფნის დროს მოახერხა, ბულგარეთი მტკიცე ნეიტრალიტეტის განგრძობაზე დაეთანხმებია. ხალილ ბეიმ საუბარი იქონია აგრეთვე რადოსლავოვთან.

— —

ქაირიდან იტყობინებიან, ოსმალეთის ჯარი, რომელიც სუეცის არხთან იდგა მთავრობამ სტამბოლში გამოიწვიაო. ფიქრობენ, ეს ოპერაცია სუეტის არხის დაკავების სრულ უარს ნიშნავსო.

— —

ყოველდღე ჯგუფით მიდიან გერმანიაში, სტამბოლიდან გამოქცეულ ავსტრიელთა და გერმანელების ოჯახები. გამოქცეულები ეძღურიან ოსმალებს და ამბობენ თავის დამარცხებაში გერმანელებს ბრალს დებენო. სტამბოლში დიდი შიშიანობაა. ბუქარესტზე გაატარეს ბერლინისაკენ მიმავალი ვაგონი 32 ყუთი ოქროთი დატვირთული. ეს ოქრო გერმანელთა ბანკებს ეკუთნის, რომლებიც ოქროს სტამბოლიდან ბერლინში აგზავნიან. ოსმალეთის ჯარში დიდი განხეთქილებაა; გერმანელების და ოსმალების აფიცრების შორის მუდმივი ჩხუბია. გერმანელთა გენერალი ფონ-დერ ბოკი, რომელიც კავკასიის ფრონტზე იყო დაიჭრა და გერმანიაში მიემგზავრება.

— —

### ესპანია.

ესპანიის პირველმა მინისტრმა სთხოვა პრესის წარმომადგენლებს, რომ მათ დაიკავონ მტკიცე ნეიტრალიტეტი. მან განაცხადა: ესპანიას მიკუთნებული აქვს შუამავლობა მეომარ სახელმწიფოთა შორის და ერიდება ყოველგვარ მიზეზს, რომელსაც შეუძლია ნეიტრალიტეტი დაარღვიოსო.

— —

საფრანგეთის ომის ასპარეზიდან „რუს. სლ“. იტყობინებენ: საფრანგეთთან ბრძოლაში მოკლულ იქმნა იმპერატორ ვილჰელმის უკანონო შვილი ფრიც ვედელი.

# უკანასკნელი ამბავი.

— —

„რუსკ. ვედ.“ სამხედრო მიმომხილველი სწერს: შემცდარია ის აზრი, ვითომ პერემიშლი მარტო საპატიო დავლა იყოს,—არა, პერემიშლის აღებას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, იმიტომ, რომ ახლა ის ჯარი, რომელიც პერემიშლს გარს ერტყა განთავისუფლდება და თავისუფლათ იმოქმედებს. პერემიშლის ალყა ათავისუფლებს არა მარტო საალყო ჯარს, პოზიციებზე მდგომს ჯარსაც, რომელსაც უმთავრესი ყურადღება ამ ც ხისაკენ ქონდათ მიმართული, ახლა ორივე არმია თავისუფალია.

— —

პერემიშლეს ციხეში შესვლა ჩვენმა ჯარმა დაიწყო 9 მარტს, ნაშუაღამევის 3 საათზე. დღეს ავსტრიელებს იარაღს ჩამოართმევენ. საჩქაროთ გაგზავნილ იქნა ვაგონები ტყვეების წამოსაყვანათ. პერემიშლეს გარნიზონის ნახევარი რეგულიარულ ჯარისაგან შესდგებოდა, დანარჩენი კი ლანდშტურმისტები. იყვენ. გენერალი სელივანოვი დაასაჩუქრეს მესამე ხარისხის გიორგის ჯვრით.

— —

დიპლომატიურ სფეროებში ფიქრობენ, პერემიშლეს აღებას დიდი მნიშვნელობა ექნება ნეიტრალურ სახელმწიფოთა პოზიციების გამოსარკვევათ. დღისით ხმა გავრცელდა, იტალიამ ავსტრიას ომი გამოუცხადაო, თუმცა ამ ხმის დამასაბუთებელი ცნობა ჯერ არაა მოსული.

დარდანელთან უკანასკნელ დროს მოკავშირეთა გამარჯვების გამო თანდათან ძლიერდება ენვერ-ფაშას აგიტაცია: სტამბოლი უნდა დავიცვათ, ვიდრე ერთი ჯარისკაცი ცოცხალი იქნებაო. ბოსფორს საშინლათ ამაგრებენ. სტამბოლისაკენ მიმავალ გზებზე ნაღმებს აწყობენ.

— —

მოკავშირეთა ჯავშნოსნებმა, ჯავშნოსან „ტრიუმფის“ მეთაურობით ჩანაკ-კალეს ზარბაზნები დაუშინეს და რამოდენიმე ბატარეია ჩააჩუმეს.

გასამართლებულმა სახელმწიფო სათათბიროს ს—დ., წევრებმა საკასაციო საჩივარი სენატში გადაიტანეს.

— —

ძმის თავდებობით გაათავისუფლეს ვერა ფიგნერი; მას დანიშნული აქვს საცხოვრებლათ ქალაქი ნიჟნი-ნოვგოროდი.

— —

სევასტოპოლიდან იტყობინებიან, რომ „გებენს“ იარაღი ჩამოხსნეს. ზარბაზნები, რომლითაც გებენი შეიარაღებული იყო, ბოსფორსა და დარდანელში დადგესო.

# ნარკვევი,

გაზ. „კავკ.“ თავისებური ოფიციოზური ხასიათი მისცა იმ განმარტებას, რომელიც უძღვნა ემისარის დეპეშს. ეს განმარტება მხოლოდ ცოტათი დაამშვიდებს აღელვებულ ქართველებს. იგი ამბობს:

„სახალ. გაზ.“ და ახალ. აზრმა“ თავის დროზე, შემოდგომაზე, თავიანთი გულის წყრომა გამოსთქვეს იმ ხმების შესახებ, ვითომ არსებობდეს რაღაც „საქართველოს დამოუკიდებლობის აღმადგენელი კომიტეტი“, რომელმაც „ხალხში გაავრცელა პროკლამაციები, რომლითაც მოუწოდებდა ქართველებს ოსმალების დასახმარებლათ“. ამ „კომიტეტის, წევრებს სრულიად სამართლიანად უწოდეს „საზოგადოების ნაძირალნი“. ჩვენის ღრმა რწმენით, ქართველები უნდა შეურიგდენ იმ აზრს, რომ გერმანიის ემისარმა ამ „საზოგადოების ნაძირალთა“ მოქმედება იცოდა და თავის იმედებს მათზე ამყარებდა“.

თუმცა,—ამბობს „ზაკავ. რეჩი“. არც დასახელებულ გაზეთებს და არც ერთ ქართველს ფიქრადაც არ მოსვლია არსებობა რაღაც „საქართველოს დამოუკიდებლობის აღმდგენელ კომიტეტისა“, ხოლო გულის წყრომას გამოსთქვამდნენ, „იმ პროკლამაციების“ შესახებ რომელიც არც ერთ ქართველს თვალითაც არ უნახავს, და სხვებიც ამ „პროკლამაციებზე“ ბევრს ლაპარაკობდენ. ამიტომ გაზ. „კავკ.“ ტყუილად გვახვევს თავზე... ყოფილა, არც ... ქვამს. გვჯერა, რომ მეფის მოადგილე ამ დეპეშს არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს, მაგრამ ეს ჩვენთვის არა კმარა. ჩვენი სურვილია. ჩვენი სიმართლე დავუმტკიცოთ რუსებსაც, მაგრამ კავკასიის რუსებს კი არა, რომელნიც საკმაოთ გვიცნობენ,—მთელი რუსეთის ხალხს, რომელთაც არ იციან ქართველების რაინდული ხასიათი და ერთგულება რუსეთის ტახტისადმი. ისინი ქართველებზე აზროვნობენ მხოლოდ „დოკუმენტებით“ „გზად შემთხვევით დაჭერილებით“,—პეტროგრადის სააგენტოს მიერ გამოქვეყნებულით. ჩვენ გვინდა რუსებმაც იცოდენ რა აზრის არის მთავრობა ჩვენზე და რა ფასსა სდებს ემისარის დეპეშს.

„ქართველებს უფლება აქვს ეს მოითხოვოს“.

# სად უფრო საჭიროა კოოპერაცია.

ქსოვილს რომ კაცი თავს უპოვნის, მის დაშლაზე მუშაობა სრულიად ცოტა საჭიროა. გლახა ჭრიაშვილისა არ იყოს, კარგათ მოსაზრებული საქმე, როგორც მთის ანკარა წყარო თავიდან ბოლომდი აუმღვრევლად მიდის. ისიც მართალია, რომ თევზი თავიდან აყროლდებაო. რა დიდი საქმეც გინდა დაიწყეთ, თუ მკვიდრ ნიადაგზე არ იქნება დაყენებული და საზრიანათ არ იქნება გათვალისწინებული მისი აწმყო და მომავალი, დასამარებას მალე ვიხილავთ. ესეც კია, მგლის ქურქში გახვეულ საზოგადო მოღვაწეს, კაცს, მხოლოდ გარედან გველივით ჭრელს, ყოველ აწონდაწონილი საქმის დაღუპვა შეუძლია.

იმ კითხვის გადასაწყვეტათ, თუ რა უფრო სჭირია ჩვენს ერს დღევანდელ პირობებში ყველა თავის საშუალებას წარმოგვიდგენს და ერის ცხოვრებისთვის მის საჭიროებას მეცნიერულათ დაამტკიცებს. წარმოადგენენ ათასგვარ პროექტებს, მაგრამ განხორციელება კი არც ერთს არ ეღირსება, ან და, თუ საძირკველი ჩაეყარა რომელსამე საქმეს, მალე კვდება, ან საცოდავათ სულს ჰლაფავს. სიკვდილმა სთქვა: ისე არავინ მოვკალი, რომ ბრალი სხვას არ დავსდევიო, ჩვენც ამა თუ იმ საქმის დაღუპვას ხან კაცს ვაწერთ, ხან გარემოებას, ხან განგებას და ამით ვიჯერებთ გულს.

# აზრის თავისუფლება და დემოკრატია.

(იხილე „სამშობლო“ № 32).

ნიდერლანდების ბატონობა ხელში ჩაუვარდა ფილიპე მეორის მამას კარლ მეხუთეს, როგორც ჰაბსბურგთა მემკვიდრეს. ამ ქვეყანას ეკუთნოდა, სხვათა შორის, მთელი ლიუქსემბურგი იმ ნაწილებით, რომელნიც შედიან ახლა ლოტარინგიასა და რეინის პროვინციაში, ფლანდრიის ის ნაწილი, რომელიც ახლა საფრანგეთს ეკუთნის, და არტუა. იქ იყო ზღუდეებით გარემოცული 208 ქალაქი, 150 დიდი დაბა და 3000 სოფელი, რომლებშიაც ცხოვრებდა 700.000 ოჯახი. ფული იაფი იყო, მრეწველობა და ვაჭრობა ფრიად განვითარებული, ეროვნულ სიმდიდრეს თავს გადადიოდა. ანტვერპენს 4 500 საკუთარი გემი ყავდა და ამსტერდამი განთქმული იყო თევზისა და პურის ვაჭრობით. უმაღლესად განვითარებული იყო მეურნეობა, ლუდისა, მაუდისა, ხავერდისა და სხვა ქსოვილების კეთება. სახალხო განათლების საქმეც წინ იყო. გლეხებმაც კი იცოდენ წერა-კითხვა. ქალაქებში განთქმული იყვნენ ორატორებისა და დეკლამატორების კრებულნი. და, საკვირველი არ არის, რეფორმაციამ რომ აქ ნიადაგი მოიპოვა.

„მე მირჩევნია დავკარგო 100.000 კაცი, ვიდრე მოხდეს მცირეოდენი ცვლილება სარწმუნოებაშიო“, სწერდა ფილიპე ნიდერლანდების გავლენიან პირებს.

1565 წლის 17 და 20 ოკტომბერს მეფემ გამოსცა ბძანება, რომ ხელი შეეწყოთ ნიდერლანდებში ინკვიზიციისათვის და სასტიკად დაესაჯათ პროტესტანტები. გენერალური შტატები აღარ უნდა შეკრებილიყვნენ.

1565 წ. ნოემბერს ბრიუსელში ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა შეკრეს კავშირი ინკვიზიციის წინააღმდეგ. კავშირს მიემხრო ხალხი.

1566 წ. ვილჰელმ ორანელის მეთაურობით მოძრაობას მიემხრო არისტოკრატია.

1567 წ. ისპანიის ჯარმა გაანადგურა ქალაქი ვალანსიენი და დაამარცხა აჯანყებულნი ანტვერპენს ახლოს. აუარებელი სახრჩობელა აღიმართა.

22 აგვისტოს 1567 წ. ბრიუსელში მოვიდა 10.000 ჯარის კაცით ჰერცოგ ალბა, რადგან ფილიპე ემდუროდა სისუსტისათვის ნიდერლანდების მმართველს, თავის დას, მარგარიტა პარმელს.

ალბამ შექმნა რაღაც „საბჭო არეულობათათვის“, რომელიც განუკითხავად სჯიდა საქვეთ.

23 მაისს 1568 წ. ვილჰელმ ორანელის ძმამ გაიმარჯვა ისპანიელებზე ფრისლანდიაში. 6 ივნისს 1568 წ. ალბამ სიკვდილით დასაჯა ბრიუსელში ორი საპატიო მოქალაქე გრაფ ეგმონტი და გორნი და შემდეგ გაამრავლა სასჯელი. შიშმა მოიცვა მოქალაქენი. იმავე დროს ალბამ დაამარცხა ვილჰელმ ორანელი და მისი ძმა.

მეფის თანხმობითა და ნებართვით ალბა განაგრძობდა ტერრორს. ვინც ერთხელ მაინც დაესწრებოდა პროტესტანტების მღვდელმსახურებას, სიკვდილს ვერ გადაურჩებოდა. ამას თან მოჰყვა კიდევ საშინელი ბეგარა და გადასახადები. ხალხმა ურჩობა გაუწია. ალბამ კვლავ გააძლიერა სისასტიკე.

ამ დროს ვილჰელმ ორანელის მეთაურობით ნიდერლანდები აჯანყდენ და გამოაცხადეს დამოუკიდებლობა. და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აღიარეს ვილჰელმ ორანელი ნიდერლანდების მმართველად (1572 წ.). ისპანიელებმა კვლავ გაიმარჯვეს და სისხლით მორწყეს ქვეყანა.

მაგრამ ჰოლანდიამ შეირჩინა დამოუკიდებლობა. ფილიპემ გაიწვია ალბა, რადგან შეეშინდა, ტერრორისტულმა სისტემამ მთლად არ ამაღებინოს ხელი ნიდერლანდებზეო. 1573 წ. ალბა ისპანიაში დაბრუნდა.

შემდეგ კი ისპანიამ მთლად დაჰკარგა ეს მშვენიერი და მდიდარი ქვეყანა.

რადგან ჩვენ პოლიტიკურ ისტორიას კი არ აღვწერთ, არამედ ვცდილობთ აღვნიშნოთ მხოლოდ აზრის განთავისუფლების საფეხურები, ამიტომ მოკლედ შევეხებით კონტრ-რეფორმაციის ამბებს საფრანგეთში.

ფრანცისკ პირველის მეფობის უკანასკნელ წლებში (გარდაიცვალა 1547 წ.) საფრანგეთის მაღალ წრეებში ძლიერ გაიდგა ფესვები რეფორმაციამ. მოწინავე ინტელიგენცია — პოეტები, ხელოვნების წარმომადგენელნი, მეცნიერნი, საპარლამენტო მოღვაწენი და არისტოკრატები უმეტეს ნაწილად ცხადად ან ფარულად პროტესტანტები იყვნენ. მხოლოდ მდაბიო ხალხმა არ უღალატა ძველს, კათოლიკე სარწმუნოებას.

და ამ ნიადაგზე სასტიკი სამოქალაქო ბრძოლა დაიბადა, რომელიც დასრულდა მხოლოდ 1598 წ. ნანტის ედიქტით აქიდან კი ახალი ხანა დაიწყო საქრისტიანო ეკლესიის ცხოვრებაში.

აქ არ აღვწერ, რამდენი ქალაქი დაინგრა, რამდენი ქონება განადგურდა და რამდენი სისხლი დაიღვარა. აღვნიშნავ მხოლოდ ერთ საზარელ ფაქტს, რომელიც ცხად-ჰყოფს მაშინდელი სარწმუნოებრივი ფანატიზმის სისასტიკესა და სიმძაფრეს.

ეკატერინა მედიჩიმ და მისმა მომხრე კათოლიკებმა ეკატერინეს სუსტი და უნებო შვილ კარლ მეცხრესთან ერთად მოაწყვეს ფარულად ორგანიზაცია, რომელსაც უნდა ამოეწყვიტა პროტესტანტები (ჰუგენოტები) მთელ საფრანგეთში. 1572 წლის 23—24 აგვისტოს, წმ. ბართლომეს ღამეს, დაიწყო სისხლის ღვრა. პარიზში გასწყვიტეს არა ნაკლებ 2.000-სა და პროვინციებში დაახლოვებით 30.000 ჰუგენოტი. არავინ არ დაინდვეს, არც ქალი და არც კაცი, არც დიდი და არც პატარა! და ამ მხეცურ საქმეში მხურვალე მონაწილეობას იღებდა გაფანატიკოსებული ხალხი!

მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევარში ინკვიზიციამ იტალიას სული ამოართვა, რადგან სასტიკად სდევნიდა აზრისა, სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლებას. და, ვისაც კიდევ შერჩენოდა აზრის გამბედაობა, საშინელი სასჯელი არ ასცდებოდა. მაგალითად, უდიდესი ფილოსოფოსი ჯორდანო ბრუნო (დაიბადა 1530 წ.) კოცონზე დასწვეს რომში (1600 წ.). დომინიკელი ბერი კამპანელლა, რომელიც პოლიტიკური რეფორმის საჭიროებას ჰქადაგებდა, საპყრობილეში ჩააგდეს. დაეცა, როგორც ხელოვნება, ისე მეცნიერება. ასე გაშინჯეთ, ამ დროის უდიდეს პოეტს ტორკვატო ტასსოსაც კი აკლია აზრის სიფხიზლე. (დაიბადა 1544 წ., გარდაიცვალა 1595 წ.) მაგალითად, მას არ მოეპოება მტერთადმი სამართლიანობის კეთილშობილი გრძნობა, რომელიც ახასიათებდა ძველ ეპიკურ პოეტებსა, და სარკინოზებს—საზიზღარ ადამიანებად და მხეცებად ნათლავდა.

მაგრამ ბოლოს აზრის თავისუფლებამ მაინც გაიმარჯვა. და ამ გამარჯვების უახლოესი მიზეზი—ადამიანის ცნობის-მოყვარეობასთან ერთად ახალი ქვეყნების აღმოჩენანი და ტეხნიკური და ეკონომიური განვითარება იყო.

უკვე რენე დეკარტმა (1596—1650 წ.) შეიტანა ეჭვი ყველაფერში, რაც ცხადი და ნათელი არ იყო და რის დამტკიცებაც არ შეიძლებოდა. ეს დიდებული ფილოსოფოსი აღიარებდა, სრულიად ვეთანხმები გალილეისო. გალილეი კი, ეს უდიდესი გენიოსი მეცნიერი, წარმოშვა იმ იტალიამ, რომელიც ასე დააქცეითა სულიერად ინკვიზიციამ. ამგვარად ძველი ცრუმორწმუნეობა ვერას გახდა და სარწმუნოებრივი ფანატიზმი თანდათან გაჰქრა.

მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ ნახევარში განვითარდა მხოლოდ მათემატიკა, ასტრონომია და ზოგიერთი დარგი ფიზიკისა. ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან კი სრულიად შეიცვალა ძველი მსოფლ-მხედველობა და ყველაფერი მეცნიერულ საფუძველს დაეფუძნა. გაიმარჯვა ჰარვეის მოძღვრებამ სისხლის ტრიალის შესახებ, რომელიც დიდხანს იყო უარყოფილი. მალპიჰიმ აღმოაჩინა 1661 წ. სისხლის ბურთულა და კაპილლარული (პაწაწა, მიკროსკოპიული სისხლის მილების) სისხლის ტრიალი. ნიკოლოზ სტენონმა დაამტკიცა, რომ სისხლის ტრიალის უმთავრესი მიზეზი გულია. ნიუტონმა განამტკიცა კოპერნიკისა და გალილეის იდეანი და ახალი შუქი მოჰფინა მეცნიერებას საყოველთაო მიმზიდველობის აღმოჩენით. ჯონ ლოკკმა (1632—1704) უარყო პირველყოფილი იდეანი და ამით საფუძველი ჩაუყარა მატერიალისტურ ფილოსოფიას. გერმანიის უდიდესი ფილოსოფოსი ლეიბნიცი (1646 წ.—1716 წ.) არ უთმობდა ინგლისელ გენიოსს ნიუტონს ერთი დიდი მათემატიკური აღმოჩენის პრიორიტეტს (პირველობას). ეს დიდი მოაზრე, რომელსაც ყოველგვარი ცოდნა ჰქონდა, ლოკკის მოპირდაპირე, ე. ი. იდეალისტი, იყო.

ამგვარად მეჩვიდმეტე საუკუნის დიდმა მეცნიერებმა თანდათან გაალღვეს და გააქარწყლეს საშუალო საუკუნეთა ცრუმორწმუნეობა და მოუმზადეს ნიადაგი მეთვრამეტე საუკუნის დიად გონებრივ მოძრაობას.

# აგენტების საყურადღებოთ.

გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციის კანტორა აგენტების საყურადღებოთ აცხადებს, რომ პირველი მარტიდან ყოველგვარი მიწერ-მოწერა და ფული გამოგზავნონ რედაქციის სახელზე. გაყიდული გაზეთების ფული უნდა გამოიგზავნოს ორ კვირაში ერთჯერ, ხოლო დაწვრილებითი ანგარიში და გაუყიდველი გაზეთების უკან დაბრუნება არა უგვიანეს დამდეგი თვის სამი რიცხვისა.

---

თანამედროვე და გარემოება—საჭიროებასთან შეფარდებული საქმიანობა, კი ისევე ცხოველმყოფელია, როგორც არაკების დევები, რომელთაც ერთს თავს რო სჭრიდენ და ათი ახალი ებმებოდა ხოლმე.

ყველასათვის საანბანო ჭეშმარიტებაა ის დებულება, რომ ქონებრივად მოღონიერება ერისა ერთი უმთავრესი საშუალებათაგანია მისი აღდგენა—განვითარებისათვის. დღეს მოღონიერება ხდება ყველგან ვაჭრობით და გაძლიერებულ მეურნეობა—წარმოებით.

იმისდა დასანახავად, თუ რამდენად უსამართლობაა დღევანდელი ცხოვრების პირობები ჩვენთვის, გავლილი დროც კმარა. ცხოვრების ასეთი უკუღმართობით ევროპის მცხოვრებლებმა საკმარისი ტანჯვა განიცადეს და მას საიმედო წამალი გამოუნახეს. ასეთი სალბუნებელი მალამო კოოპერაცია აღმოჩნდა, რომელიც, აი, თითქმის, ერთი საუკუნე ძლევამოსილებით ებრძვის იქაურ უკუღმართ და მავნე ცხოვრების წესწყობილებას. ამ საშუალებასვე უნდა მივმართოთ ჩვენც, რადგანაც იგი ნაცადია და მის გარშემო მალე ღონიერდება სწავლაც, განათლებაც, თეატრიც, ჟურნალ-გაზეთიც, სარწმუნოებაც, ზნეობაც და მთლად ხალხიც გადაგვარებას და ამოფხვრას გადაურჩება.

ირლანდიის კოოპერატორებმა გამოუცხადეს ინგლისის მთავრობას: „თქვენ არ გვაძლევთ პოლიტიკურ ჰომრულსო, მაშ, ჩვენ მივცემთ ხალხს ეკონომიურ ჰომრულს“; და, მართლაც, რამდენსამე ხნის შემდეგ კოოპერატიული მოძრაობის წყალობით ალაგმეს ინგლისელ ლორდების უმაგალითო თავხედური ქცევები ირლანდიელებისადმი, შეიძინეს მამული საკუთრებად, ხალხმა ამერიკისკენ გადასახლება შესწყვიტა, გამხნევდა, გაფაქიზდა ზნეობით და, აი პოლიტიკურმა ჰომრულმაც აღარ დააგვიანა. ერთი გერმანელი პასტორი ჰმოწმობს, რომ მისმა ოცდაათი წლის ქადაგებამ იმდენივე გააკეთა, რამდენიც კოოპერატივმა სულ მოკლე ხანშიო...

მაშ ასე, ხელი მივყოთ ეკონომიურ კოოპერატივებს; მათი საშუალებით გამოვგლიჯოთ ჩვენი ერი სხვებს მეტად მწვავედ და სასიკვდილოდ მჩხვლეტავ კლანჭებიდან და წინ სვლის გზაზე შევაყენოთ იგი. ნუ ვალევთ ძალას უდღეოთ დაბადებულ საზოგადოებებს, ნუ ავუტანივართ პატივმოყვარეობის ჟინს... რა თავ მოსაწონია, რომელ გრძნობებს გიკმაყოფილებთ, ქართველო ინტელიგენციავ. ამოდენი სულის მლაფავი საზოგადოებები, ამოდენა მათხოვარსავით ხელგაწვდენილი თავმჯდომარეები და ამოდენა თავბედის მწყევარი წევრები.

ჩვენი ხსნა მარტოდ-მარტო კოოპერატივებშია.

ეს ასეა, მაგრამ საიდან დავიწყოთ? გაზეთებმა მოგვიტანეს ამბავი, რომ ქუთაისში საგუბერნიო კოოპერატიული კრება მოხდებაო. გამეხარდა, მაგრამ მაშინვე ვსთქვი ჩემს გულში: ნეტავი კი თფილისის გუბერნიაში მომხდარიყომეთქი და...

აი რატომ? კოოპერაცია ხალხის ცხოვრებაში შეპარებით ხორციელდება. გაძვალტყავებული ხალხი მაინც ვერ გრძნობს თავის მოსისხლე მტრის ხუნდებს და მელასავით თავის სახრჩობელა უყვარს. გავლილი გზა, ძვალ-რბილში გამჯდარი უილაჯობა მაშვრალს სრულიად უკარგავს იმედს გაუმჯობესებისას და არავის შველა სჯერა. რაც უქნია მამაშენსა, ნურც შენ დაჰხევ მარმაშებსაო, სრულიად ახასიათებს გაჭივრებულ ხალხის სულიერ მდგომარეობას. ასე ნაჭედ ხალხთან რანაირი კეთილის მდომელიც გინდა მივიდეს, არ სჯერა და არ ენდობა. საჭიროა ამგვარ შეუგნებლობის ციხის კედელს ხვრელი გაუკეთოთ და ციხე მალე აიღება. აი, ამიტომ ვიძახით რომ, როგორც ყველა ახალი, ისე კოოპერაციაც ხალხის ცხოვრებაში შეპარებით უნდა გატარდეს და უპირველესად მეურნეობის იმ დარგში, რომელიც ხალხის ცხოვრების უმთავრეს წყაროს წარმოადგენს და სადაც იღარცნება იგი.

თუ ცხოვრების ალღოს ართმევა და მეურნეობის უმთავრეს დარგისადმი ყურადღების მიპყრობა კოოპერაციის დანიშნულებაა, არც ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ერის რომელ კუთხეს, რომელ ქალაქს და მხარეს მიექცეს უპირველესი ყურადღება.

ვინც იცნობს ჩვენ სამშობლოს მდგომარეობას დამეთანხმება, რომ ქუთაისის გუბერნია ცოტათ თუ ბევრად თავისუფალია მტაცებელ კაპიტალის გავლენისაგან; მაშასადამე, კოოპერაციის აღორძინებისათვის ერთი საჭირო პირობა აქ არ არსებობს, სახელდობრ—მწვავე განცდა ექსპლოატაციისა, თვალით ხილვა იმისა, რომ მშიერს პირიდან ლუკმა პური ერთმევა და სადღაც მიაქვთ, ვიღაცას ასაზრდოებენ ამ ლუკმით.

აბა გადავხედოთ ამავე დროს საქართველოს მეორე ნაწილს, რომელშიაც მოთავსებულია ქართველების დედა ქალაქი. აქ ყველაფერი გეუბნებათ, მალე, თორემ მერე გვიანღა იქნება თითზე კბენანიო; მალე, თორემ მოგვიანებით, იქნებ, შველაც ვეღარ მოხერხდესო. აი, საით უნდა იყოს კოოპერატორების ყურადღება მიპყრობილი. დიდი ძალები არა გვაქვს, ყველგან ვერ ვეყოფით, ამიტომ ჯერ თაო და თაოო, მერე ცოლო და შვილოვო.

ყოველ შემთხვევაში ვულოცავ ქუთაისის გუბერნიას კოოპერატიული მოძრაობის ფეხის ადგმას და ვუსურვებ თფილისსაც, რომ წაბაძულობამ წაწყმიდოს იგი ამ საქმეში.

**ლ. მგზავრი.**

---

მაგრამ ფანატიზმი ბევრგვარია: სარწმუნოებრივი, პოლიტიკური და სოციალური. და აზრის თავისუფლებას თანასწორად ხუთავს თითოეული მათგანი. მეორე მხრით ეს სამი გვარი ფანატიზმისა მჭიდროდ გადაბმულ-გადახლართულია ერთმანეთთან, ერთი მეორეს შველის. საზოგადოდ კი, როგორცა ვთქვით, ფანატიზმი, რა გვარსაც უნდა ეკუთვნოდეს, სპობს პიროვნების თავისუფლებას და შობს მონობას.

ისტორია მიხვეულ-მოხვეული გზით მიდის. მაგალითად, ძველ რომში კეთილშობილი სამოქალაქო მოღვაწენი, ხალხის მეგობრები და დემოკრატები ტიბერი (163—133 ქრ. წ.) და მისი ძმა გაი (153—121 ქრ. წ.) გრაკხები, და მათი მიმდევრები იყვნენ ერთსა და იმავე დროს დემოკრატები და ცენტრალისტები. ცენტრალისტები ცდილობდენ სენატის უფლების შემცირებას, პატრიციები კი ძველ რესპუბლიკურ წყობილებას იცავდენ. ვინ იყო მაშინ თავისუფლების მტერი ან მოყვარე?!—ორივე მხარე იყო ერთიცა და მეორეც რადგან დემოკრატებს უნდოდათ მიწის სამართლიანი განაწილება, მაგრამ იმავე დროს თავისი ფართო საახალშენო პოლიტიკით სხვა ერების აყრა, გაძევება ან ამოჟლეტა და ცენტრალური მართვა გამგეობის გაძლიერება. პატრიციები კი, რომელნიც წინაღუდგენ დემოკრატიის ეკონომიურ პოლიტიკას, უარყოფდენ ცენტრალურ მართვაგამგეობას. პარტიათა ბრძოლას მოჰყვა შედეგად იული ცეზარის გაბატონება. მას შემდეგ კი ბოლო მოეღო, როგორ აზრის თავისუფლებას, აგრეთვე დემოკრატიის ინტერესებს.

ამიტომ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, რესპუბლიკისა და იმპერიის დროის მწერლები რომ შეადაროთ, დაინახავთ, რომ რამდენადაც პირველთ ამშვენებს აზრის თავისუფალი ნავარდი და გამბედაობა, იმდენადვე ქედ-მოხრილი, მლიქვნელი და დამდაბლებულია უკანასკნელთა აზროვნობა.

ეს ფაქტი კი ცხადჰყოფს, რომ დემოკრატია ყოველთვის მოსაწონ გზას არ ადგა და ყოველთვის შეგნებილი კი არ ყოფილა. ამიტომ, თითოეულ მის ნაბიჯს ტაშითა და ვაშათი კი არ უნდა ვაქებდეთ. პირიქით, მხოლოდ ის დემოკრატია უნდა გვწამდეს, რომელსაც თავის დროშაზე თანასწორობასთან ერთად პიროვნებისა და აზრის თავისუფლება უწერია.

იმავე მიზეზის გამო ისტორიამ შავ ფურცელზე აღნიშნა იმ დემოკრატიის მოქმედება, რომელიც ისპანიასა და იტალიაში ინკვიზიციას თანუგრძნობდა და საფრანგეთში ჰუგენოტებსა ჟლეტდა, და, პირიქით, შარავანდით შემოსა სახელი იმ არისტოკრატებისა, რომელნიც აზრის თავისუფლებას მსხვერპლად შეეწირენ, და იმ მეცნიერებისა, რომელთაც ცრუმორწმუნეობისა და ფანატიზმის სიბნელე გაფანტეს და ქვეყანას თვალი აუხილეს.

და, თუმცა ხსენებული მეცნიერები არისტოკრატები იყვნენ,—ამით სრულიად არა დაკლებია რა მათი მოღვაწეობის ღირებულებასა და საზოგადოების ყველა კლასი და პარტია, ცხადია, თანაწორად უმადლის მათ. ამიტომ, დროა ბარემ მოეღოს ბოლო იმ ცრუ რწმენას, ვითომ ყველაფერი, რაც კი არისტოკრატიიდან გამომდინარეობს, ეშმაკის არის და მარტო დემოკრატია შეიცავს ყოველგვარ ღირსებას!

**ვასილ წერეთელი.**

(შემდეგი იქნება).

---

# მ უ დ ა რ ე ბ ა.

მოთმინება, როგორც მოგეხსენებათ, ნაყოფია სულგრძელობისა, ხოლო სულგრძელობა კი პირმშო შვილია სიბრძნისა. ორივე ეს თვისება მოთავსებული ადამიანის ბუნებაში თვალ საჩინო გამომხატველია მათ მქონე ადამიანის დიდსულოვნებისა და სარწმუნო ფაქტია მისი ჭკუა—გონების სრულ სიბრძნემდის მიღწევისა.

მაგრამ, ახლანდელს გაუკუღმართებულს დროსა და ჟამში აღარც ერთია გამოსადეგი ცხოვრებაში და აღარც მეორე... ჩვენს დროში მომთმინე ადამიანი ყველასაგან აბუჩად აგდებული და ფეხით გათელილია; მართალია, მე თქვენი უმორჩილესი მონა, ძალიან შორს გახლავარ სიბრძნეზე, მაგრამ თავდაბალი და მომთმინე ადამიანი, რომ ვიყავი თავიდან და დღესაც ვარ, ამის წინაღმდეგ ფაქტიურად, ვგონებ, ვერავინ მიკიჟინებს; და კიდეც, ჩემის აზრით, ეს უნდა იყოს მიზეზი იმ ურიგო საქციელისა, რომლითაც ზოგიერთები მე მაჯილდოვებენ. იმაზე კამათი მეტად მიმაჩნია, რომ ჟურნალ-გაზეთებს ის პირები იწერენ, რომელთაც ესმისთ მწერლობის, ბეჭდვითი სიტყვის მნიშვნელობა და საჭიროება ცხოვრებაში. რომელთაც მწერლობა სამართლიანად მიუჩნევიათ თავის სულიერ აგებულების და გამპოხიერებელ საზრდოთ. მაშასადამე, ასეთი პირების სულიერ აგებულებაზე, მათ აზრთა ზრდასა და განვითარებაზე, მათ ცნობათა მოყვარეობის დაკმაყოფილებაზე გაზეთ-ჟურნალის მოკლებას, მოსპობას, ჩემის აზრით, ისეთივე სიცოცხლის შემაფერხებელი და დამაჩლუნგებელი გავლენა აქვს, როგორც ადამიანის ფიზიკურ აგებულებაზე საჭმელ-სასმელის მოკლებას.

მართალია, ჟურნალ-გაზეთების წესიერად მიღების საქმე არაოდეს არ ყოფილა სასურველს მდგომარეობაში, მაგრამ ახლანდელმა მდგომარეობამ კი, წარსული მაქებია და დამალოცვია.

არ იქნა და არა, ვეღარ ვღირსე გაზეთ-ჟურნალის თავთავის დროზე მიღებას: ხშირად ათი-თუთხმეტი დღე გადის გაზეთს თვალით ვერ ვიხილავ. ესმით უფრო გაწუხებს, რომ მოვესწარი თუარა ჰრებალოს ფოსტა-ტელეგრაფის სადგურის დაარსებას, რომელიც ძალიან ახლოა ჩემ საცხოვრებელ ბინაზე, სრული იმედი მქონდა გაზეთ-ჟურნალის მიღების შესახებ სასურველს მდგომარეობაში ვიქნებოდი. მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ ჩემი იმედი დარჩა მხოლოდ ფანტაზიურ იმედათ. ჰრებალოს, ონში მიმავალი ფოსტა ქუთაისიდან კვირაში ორჯერ გამოივლის, თავის დროზე ვგზავნი ფოსტაში კაცს გაზეთის მისაღებათ, მაგრამ პასუხად მომდის: გაზეთები არ მოსულაო! და როცა მაღირსებენ თითო ოროლა ნუმერს, აღარც მისი მიღება ღირს; ჯერ რამოდენიმე ნუმრები გამოკლებულია, და რაც მომდის უმეტესი მათგანი ისეა გასვრილი, დახეული, რომ ხელი აღარ მოეკიდება. ყოველივე ეს ნაყოფია მისი, რომ ზოგიერთ პირებს, რომელთაც გახსნიათ მადა გაზეთის წაკითხვისა, მაგრამ ფული კი ვერ გამოუმეტებიათ მის გამოსაწერად, გააქვთ ფოსტიდან ჩემი გაზეთები და სარგებლობენ მით.

კარგი, დაიკმაყოფილონ ცნობის მოყვარეობა ჩემი გაზეთებით ამ ძუნწმა ვაჟბატონებმა, მაგრამ მთლათ რომ ისაკუთრებენ—ეს კი აუტანელია;—ამიტომ მივმართავ მორჩილის მუდარებით ჰრებალოს ფოსტის გამგებელს, რომ მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება ამ საქმეს, და ჩემს გაზეთებს, გარდა ჩემი გაგზავნილი კაცისა, ნურავის მისცემს.

**ქაიხოსრო გელოვანი.**

---

# ახალი ამბავი.

ოთხშაბათს, 11 მარტს დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში შესდგა თავად-აზნაურობისა და ქუთაისის ყველა კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლების კრება იმ სამარცხვინო დეპეშის განსახილველად, რომელიც პეტროგრადის სააგენტომ ქართველების შესახებ გამოაქვეყნა.

კრებას თავჯდომარეობდა ლეჩხუმის მაზრის თავ.-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ი. დ. გელოვანი. მდივნათ აირჩიეს ნაფიცი ვექილი ვლ. ჩაჩიბაია.

კამათში მონაწილეობა მიიღო—ბ. ბ. ილია ჩიქოვანმა, ი. ფანცხავამ, ია ეკალაძემ, ტრ. ჯაფარიძემ, დ. მიქელაძემ, ალ. კრინიცკიმ, გრ. ლაღიძემ და სხვამ. ხსენებული დეპეშის შესახებ ყველამ დიდი აღშფოთება გამოსთქვა. კამათის დასასრულ გადაწყდა, ამ თვის 17-ს მოწვეულ იქნას თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.

ქუთაისის დეპუტატთა საკრებულომ თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თავ. აფხაზს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

„თავად-აზნაურობის დეპუტატებისა და ქუთაისის ყველა კულტურული დაწესებულებების წარმომადგენელთა კრებამ, 11 მარტს, ცნობილი დეპეშის შესახებ, ერთხმათ დაადგინა შეუერთოს თქვენს პროტესტს თავისი აღშფოთებაც.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა, კამერიუნკერმა—ბ. პოტულოვმა, ინჟენერ ქურდიანის და ამხანაგობის მიერ ქალაქის გამგეობასთან წარდგენილი ხელშეკრულობა, წყალსადენისა, ტრამვაისა, განათებისა და კანალიზაციის შესახებ უკვე დაამტკიცა, რაც ქალაქის გამგეობას ეცნობა.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა, მეფის მოადგილის თანაშემწის გენერალ მიშლაევსკისაგან მოწერილობა მიიღო, რომლის ძალითაც ადგილობრივ მცხოვრებლებს უნდა გამოუცხადოს, რომ ჯარის კაცებიდან იარაღი არავინ შეიძინოს.

წინააღმდეგ შემთხვევაში დასჯილნი იქნებიან 3 თვის ციხით, ან 3000 მანეთის გადახდით.

✦ კავკასიის შინა მრეწველობის კომიტეტს დაუდგენია ქუთაისშიც დააარსოს თავისი განყოფილება.

✦ სააღდგომო პასქის ფქვილს ქუთათურმა მეფქვილეებმა ერთი ორათ მოუმატეს ფასი. სამი მანეთის მაგივრათ ფუთს ექვს მანეთად ყიდიან.

✦ როგორც სოფ. ნოსირიდან (სენაკის მაზრა) გვწერენ, 9 მარტს, ძველი სენაკსა და ს. ნოსირის შუა მდ. ტეხურში, დამხრჩვალან სააზნაურო სკოლის ორი მოწაფე. მათ წყალში ბორანი გადაბრუნებიათ.

✦ 16 მარტს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში, საჯარო ვაჭრობით გაიცემა წითელ ხიდთან მდებარე ქალაქის მამულები.

✦ ქუთაისის საქველმოქმედო საზოგადოებამ ყველა დაწესებულებებში დაგზავნა სიები ლტოლვილებისთვის ფულის შესაგროვებლათ.

✦ 14 მარტს, საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილება გაარჩევს ბენედიქტე ბირბიჩაძის რამდენიმე საქმეს.

✦ ქუთაისის საშუალო სასწავლებლების მოწაფეებს საზაფხულოთ ხვალ, 14 მარტს, დაითხოვენ.

✦ თანახმად ქუთაისის ქართულ გიმნაზიის საპედაგოგო სხდომის დადგენილებისა, ის მოწაფენი, რომელთაც მიმდინარე სასწავლო წლის მეორე ნახევრის სასწავლო ფული არ შე[illegible] თვის თოთხმეტიდან დათხოვნილი [illegible] სასწავლებლიდან.

## მ ო წ ე რ ი ლ ი ა მ ბ ა ვ ი.

**სოფ. ციხია** (ოკრიბა). პირველ მარტს გადახდილ იქნა წირვა და პანაშვიდი სამშობლოს ინტერესებისათვის და კაცობრიობის სიყვარულისთვის გმირულად დაღუპულ სახელმწიფო სათათბიროს წევრის ვარლამ გელოვანის სულის მოსახსენებლად, რომელმაც პირველად აუწყა საზოგადოებას ქართველი ერის საჭიროება და გულის თქმა. ხალხი ბლომათ დაესწრო. მღვდელმა კალისტრატე გვეტაძემ მოკლე და შინაარსიანი სიტყვით გააცნო დამსწრე პირთ მისი თავგანწირული მოღვაწეობა.

აგრეთვე გადახდილ იქნა წირვა და პანაშვიდი ორმოცის—მგოსან აკაკი წერეთლის სულის მოსახსენებლად 7 მარტს, რომელსაც ხალხი ბლომათ დაესწრო.

**ს. ბოჭორიშვილი.**

# დაბა-სოფელი.

**დ. ლანჩხუთი.** უკვე მესამე კვირაა, რაც ადგილობრივმა კოოპერატივმა ფურნე გახსნა. პური მეტად კარგი ხარისხისა ცხვება, ოღონდ ესაა, რომ ფურნე ვერ აკმაყოფილებს სავსებით პურის მოთხოვნილებას; ხშირად საღამოობით ფურნეში პური არ იშოვება, რაც წარმოებისათვის მეტად მავნებელი არის. სასურველია ფურნე გაფართოვდეს, ამით მეტი მომხმარებელი მოაწყდება მას და საქმეც თვალსაჩინოდ წინ წაიწევს. ამ ახალ—სიმპატიურ დაწესებულებას უკვე კბილის მატლები გაუჩნდენ. ერთ ერთი წევრი გამგეობისა, რომელიც მეტის მეტ მუყაითობას იჩენდა, კოოპერატივის საქმეში ბოროტი ენის წყალობით განდევნილ იქნა აქედან. საჭიროა, საზოგადოების მოწინავე პირებმა მეტი ყურადღებმ მიაქციონ ამ მოვლენას, დროზე ალაგმონ ამ საქმის ჩამდენი ვაჟბატონი (თუ ქალბატონი), წინააღმდეგ შემთხვემაში, მოსალოდნელია, რომ ეს აქლემი სხვის წინაშეც დაიჩოქებს და ამგვარად საზოგადო საქმებს შეაფერხებს და წინსვლის მაგივრად უკან დაიწევს. ვეცადოთ თითო ოროლა ნაძირალებმა ვერ დაგვჯაბნონ.

1 მარტს აქაურ თეატრში წარმოადგინეს პიესა „უმუშევარნი“. უნდა აღვნიშნოთ, რომ პიესა შედარებით კარგად ჩატარდა. სუსტი იყო მხოლოდ ა. ორაგველიძე; უნდა მოვახსენოთ ამ უკანასკნელს, რომ მეტის მეტად ხმა მაღლა ლაპარაკობს და თანაც უცნაური ერთფეროვან ჟესტიკულიაციები აქვს, რანაირ როლშიაც უნდა გამოდიოდეს.

6 მარტს წარმოადგინეს ბისონის დრამა „უცნობი“. საზოგადოთ ასეთ მრავალრიცხოვან მომქმედ პირებიან პიესის დადგმა იხეთ პატარა სცენაზე, როგორიც არის ადგილობრივი—მეტად ძნელია. მეტადრე ძნელია ანსამბლის დაცვა.

მსახიობი ჯაყელი ვერ იყო რიგიანი ფლერიო, მაგალითად, როდესაც მესამე მოქმედებაში იგებს, რომ მისი ცოლი, რომელიც მას დიდიხნის მკვდარი ჰგონია—ცოცხალია, მისი განცდა ამ დროს ძალიან სუსტი იყო. ვვარიანი იყო ჟაკლინას როლში ქ-ნი რაისა არაქელოვისა. უნდა ვსთქვათ, რომ კარგ ძალას წარმოადგენს სცენისათვის ეს უკანასკნელი. ბ-ნი ორაგველიძე ნოელის როლში ვერ იყო თავის ალაგას. ნოელი ბუნებრივი არისტოკრატი, ორაგველიძემ დაგვიხატა „ნოქრად“. არ იყო აგრეთვე მასში ის სისათუთე, სინაზე და „სიფაქიზე—თვისებები, რომლებიც ახასიათებენ ნოელს. ბ-მა ე. ებრაელიძემ როლი არ იცოდა, რაც ხელს უშლიდა პიესის რიგიანად შესრულებას.

საზოგადოთ როლებს ნაკლებად სწავლობენ, რაც მიუტოვებელი შეცდომაა სცენის მოყვარეთათვის. ლ. წულაძე პირველად ვნახეთ სცენაზე და პირველიდანვე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებლებზე სასამართლოს თავმჯდომარის როლში. ვიმედოვნებთ, რომ შემდეგშიაც ეცდება დაკისრებულ როლს პირნათლად შესრულებს.

კარგები იყვნენ ქ-ნნი ლ. ჩხარტიშვილი და მ. კვირკველია—პირველი ელენეს და მეორე როზას როლში. სუსტი მერვიელი იყო ბ-ნი ებრაელიძე. კარგი იყო ექიმის როლში ბ-ნი ბახტაძე. კარგი იქნებოდა ბ-ნი გ. მენაღარიშვილი

══ სავაჭრო სახლი ══
„ი. გოკიელოვის ძ—ბის“
ქუთაისში

ამით აცნობებს პატივცემულ მყიდველებს და თესლის გამყიდველებს, რომ ცნობილი აბრეშუმის თესლი

# ხ. ხრისტოდულიდისა

მიიღებულია. ვინც თესლს შეგვიკვეთს ათ მარტამდი არა ნაკლებ ერთი უნციისა, რომ მელშიაც ორასი კოლოფია, მას 6 მისხლიანი კოლოფი დაუჯდება 3 აბაზათ. შეკვეთის დროს სავალდებულოა ბეთ წარმოდგენა 100 მანეთის. დანარჩენი ფული კი საქონლის წაღებისას. თესლის წაღების უკანასკნელ ვადათ დანიშნული გვაქვს 20 მარტი. ფარცხანაყანევისთვის, ქვიტირისათვის, მაღლაკისათვის, პატრიკეთისათვის, საყულიისათვის, შუამთისათვის, სვირისათვის და წყალტუბოსთვის აგენტად დანიშნულია ლევანტი ექვთიმეს ძე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევის იარმუკაში. თ.

ღაროკის როლში რომ თვალები არ დაბრეცოდა მოკარნახის სადგომში ცქერით.

უკანასკნელი წარმოდგენა გაიმართა 8 მარტს. წარმოდგენა სახალხო იყო. დასდგეს კომედია „ღედაკაცის ცნობის მოყვარეობა“ და ვოდ. „ორი მშიერი“. პირველმა პიესამ კარგად ჩაიარა თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბ-ნ კალ. ქლენტის აღირებულ ტანსაცმელს ახირებულაძის როლში. განა ტუჟურკა-ხალათით შეიძლება ამ როლში გამოსვლა? ამასთანავე სრულიად უგრიმო გამოსვლა საზოგადოთ და კერძოთ ნახსენებ როლში ბ-ნ ქლენტის მიერ აბუჩად აგდებაა სცენისა და საზოგადოების. კარგი მშიერი დანტე იყო ვოდევილში ბ-ნი ჯაყელი. ფრანსუამ—ქლენტმა როლი არ იცოდა და ხშირათ ავიწყდებოდა რომ ის მშიერია. არც აქ ეცვა შესაფერი ტანისამოსი.

საჭიროა ხშირად ისტორიული პიესები იდგმებოდეს და მარტო ვოდევილებით არ უმასპინძლდებოდენ „სახალხო წარმოდგენებზე“ ხალხს.

სავანაროლა.

—

**სოფ. ფარცხანაყანევი** (ქუთ. მაზრა) რვა მარტს აკაკის გარდაცვალების მეორ მოცე დღეს, ადგილობრივი ინტელიგენციის თაოსნობით, სოფ. ფარცხანაყანევის ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში მღვდლების ლაზარე ფხაკაძისა და ამბერკი ქიპაშვილის მიერ გადახდილ იქნა პანაშვიდი განსვენებული მგოსან აკაკის სულის მოსახსენებლათ; პანაშვიდზე დაესწრო ადგილობრივი სამრევლო და სამინისტრო სკოლების მასწავლებლები თავისი მოწაფეებით და აგრეთვე ადგილობრივი მცხოვრებნი; პანაშვიდი გადახდილ იქნა წირვის შემდეგ. პანაშვიდის დაწყებამდი მღვდელმა ლაზარე ფხაკაძემ წარმოსთქვა შინაარსიანი სიტყვა და გააცნო დამსწრე საზოგადოებას მგოსნის მოღვაწეობა. შემდეგ პანაშვიდის გათავებისა შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა დიდებული მგოსნის შესახებ ადგილობრივმა მცხოვრებმა ნესტორ ნუცუბიძემ; მან მკაფიოდ გააცნო საზოგადოებას აკაკის ბიოგრაფია (მისი ცხოვრება და მოღვაწეობა), აუხსნა ხალხს თუ ვინ იყო აკაკი, რას ემსახურებოდა ის, რა ღვაწლი დასდო სამშობლოსათვის და რა სარგებლობა მოუტანა მშრომელ ხალხს და განსაკუთრებით გლეხობას; დასასრულ მშვენივრათ წაიკითხეს აკაკის რჩეული ლექსები შემდეგმა მოწაფეებმა: ორკლასიანი სამრევლო სკოლის მოწაფემ ლავრენტი ნუცუბიძემ „მუშის ნატვრა“, ორ კომპლექტიანი სამინისტრო სკოლის მოწაფეებმა ნოე ფხაკაძემ „სული კვლავ მღერის“ ვალერიანე ფხაკაძემ „იავნანა“. და ერთკლასიანი სამინისტრო სკოლის მოწაფეებმა ალექსანდრე დეისაძემ „გაზაფხული“ და ვარლამ ნიქაბაძემ „უძლევი ომში წასულ ამხანაგებს“, რომლის გათავების შემდეგაც დამსწრე საზოგადოება დიდი კმაყოფილი დარჩა.

მასწავლებელი პ. მეფარიშვილი.

## ღია ბარათი.

მიხეილ ვასილის ძეს გოგიძეს (გორდის მასწავლებელს) და მიხეილ ლუკას ძეს ასათიანს (ლაშხეთის მასწავლებელს).

ამ რამდენიმე თვის წინათ თქვენი არა საკადრისი მოქმედების შესახებ მოთავსებული მქონდა წერილი გაზეთ „ახალ ივერიის“ ფურცლებზე. მეგონა, თუ თქვენ იმდენი თავმოყვარეობა გექნებოდათ, რომ თავს იმართლებდით იმ ბრალდებაში, რომელიც მე ჩემს წერილში წამოვაყენე თქვენ წინაამდეგ, მაგრამ სინამდვილეს გვერდი ვერ აუხვიეთ და სიჩუმე ამჯობინეთ. ეს სიჩუმე კი ნათლათ ამტკიცებს თქვენს დანაშაულს ჩემს წინაშე, რომ მე დღეს თქვენის წყალობით ულუკმაპუროთ ვარ დარჩენილი და ჩემი ნაშრომი ჯამაგირიც კი წამერთვა ბ. ინსპექტორისაგან. ამის გამო იძულებული ვარ გამოგიწვიოთ სამედიატორ სამართალში და მოვითხოვ თავის გამართლებას საზოგადოების წინაშე. წინაამდეგ შემთხვევაში ანაზღაურებას იმ ზარალისას, რომელიც მე თქვენის მეოხებით მივიღე: მედიატორების განაჩენი პრესის საშუალებით უნდა ეცნოს საზოგადოებას.

დღიდან ამ წერილის დაბეჭდვისა ვადას გაძლევთ ორკვირას. გთხოვთ დაასახელოთ მედიატორები; შემდეგ გაცნობებთ ჩემს მედიატორებსაც.

თქვენ მიერ უდანაშაულოთ დასჯილი მასწავლებელი **პანტელეიმონ ბოჭორიშვილი.**

## მოწოდება.

ს. ზედა ილემის (შორაპნის მაზრა) უფასო წიგნსაცავ სამკითხველოს გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველა გულ შემატკივარს და მასთან ყველაზე უფრო იმ პირთ, რომლებიც ჩვენი სოფლიდან წარსული არიან და ცხოვრობენ სხვა და სხვა ქალაქში, დახმარება გაუწიონ სამკითხველოს, რადგანაც ჟურნალ-გაზეთების გამოწერის საშუალება სამკითხველოს ჯერჯერობით არა აქვს.

ჩვენ სამკითხველოს მოსდის შემდეგი გაზეთები: „სამშობლო“ „სახალხო ფურცელი“ „ზაკავკაზსკაია რეჩი“ „შრომა“ და ერთი ჟურნალი „ნაკადული“ და თუ გულ შემატკივართა თანაგრძნობა და იმედები არ მოგვაკლდა, იმედია, ჩვენი სამკითხველოს საქმე კარგად წავა.

ფულის შემოწირულება მიიღება შემდეგი მისამართით: Дзерулы учит. Тихону Никабадзе. სამკითხველოს გამგეობის წევრი

**ბესარიონ გორგაძე.**

## სია.

(შემდეგი იხილე „სამშობლო“-ს 33-ე №.)

ქ. შ. წ. კ. გამ. საზ. ქუთაისის განყოფილებაში 1914 წლის საწევრო ფული შემოიტანეს სამ-სამი მანეთი.

ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელმა და მოსამსახურე პირებმა:

დეკ. ივლიანე აბესაძემ, გიორგი სარდიონის ძე ახვლედიანმა, ვუკოლი მიხეილის ძე ბერიძემ, ალ. ალ. გარსევანიშვილმა, ლვდ. ალ. გერსამიამ, სამს. ნიკ. დათეშიძემ, სიმ. ალოიზ. ეზიკოვმა, ალექს. დავით. თორაძემ, იოს. ვოლსკის ასულმა ბარბალემ, არტემ მიხ. კვიჟინტირაძემ, იონა სოლომ. კობახიძემ, მელქის. ისიდ. კობახიძემ, დიმ. დავით ლორთქიფანიძემ, ბენედ. ვასილ. მამფორიამ, პლატ. სპირიდ. მოდებაძემ, სოლომ. გიორგ. მიქელაძემ, ნიკოლ. დიმიტ. ნუცუბიძემ, იასონ ივან. ნიკოლაიშვილმა, ალექს. სიმ. ნიჟარაძემ, დომენტი თომ. ოყრეშიძემ, სიმ. ივან. ოცხელმა, იოს. ივან. ოცხელმა, გიორგი სიმ. სვანიძემ, დიმ. ნიკოლ. უზნაძემ, დავით ნიკოლ. ქუთათელაძემ, სამს. გიორ. ყიფიანმა, ანდრია ანტონ. შუბლაძემ, ნიკ. იოს. შარაშიძემ, სერ. ისიდ. რობაქიძემ, სიმ. ბესარ. შარაშიძემ, მიხ. ირაკ. შავარდნაძემ, ლნოგ. ანტ. ჩიმაკაძემ, მიხ. რომ. ჩინჩალაძემ, გერ. მათ. ცაგარეიშვილმა, იაკ. თომ. ცინცაძემ, სოლ. ექვთიმ. წერეთელმა, ბესარ. ხელთუფლიშვილის ასულმა ნინომ, ალექ. ილარ. ჯანელიძემ, ალექ. რომან. ჯაფარიძემ, სილ. თომასძე ხუნდაძემ, კონს. (ჯაჯუ) ივან. ჯორჯიკიამ, ვას. გიორ. წერეთელმა, შალვა ონის. სანიკიძემ, ჩიჯავაძის ასულმა მარომ, ალექს. დიმიტ. ლორთქიფანიძემ, ლუკა ვას. ჯაფარიძემ და ისიდორე ბედენიძემ.

ჩემთან შემოიტანეს აგრეთვე: რეალურ სასწავლებლის მოსწავლეებმა ტარასი დავით. მამალაძემ წმ. ნინოს საქალო გიმნაზიის მასწავლებელმა ლვდ. მიხეილ ნაცვლიშვილმა სულ შემოიტანა 49 პირმა და შედგა ასორმოცდაშვიდი (147) მანეთი.

**სილოვან ხუნდაძე.**

## ანგარიში.

(ფოთის საქალებო გიმნაზიის სასარგებლოთ 18 თებერვალს, 1915 წ. ქუთაისის სავაჟო გიმნაზიის დარბაზში გამართულ საღამოს შემოსავლისა).

### ა) შემოსავალი.

გაიყიდა დანუმრილ და უნუმრო ბილეთები, სულ 416 მ. და 3 აბაზ. მოწაფეებიდან შემოვიდა 146 მ. და 4 აბაზი.

სხვადასხვა პირმა შემოსწირა: ჰ. მ. მოსეშვილმა 20 მ. ათ-ათი მან.: ჰ. მ. კოვკოვმა, ნ. ვ. ნოვოსელცევმა, ე. გ. მეიერმა და ნ. ა. კარელიმ; ხუთ-ხუთი მან.:—რ. კ. დათეშიძემ, მღვდ. ი. კაჰანაძემ, ნ. ა. მხეიძემ, უგან. თავად. ბაგრატიონმა, ვ. ჰ. კოკოჩევმა, გ. ა. ოკიშერმა, კ. ი. გამრეკელიძემ, ს. ო. ხოშტარიამ და ჰ. ი. სამანჯიმ; 6 მან.:—მ იაკ. გოკიელოვმა; ა. და ე. თუმანოვებმა 4 მან.; სამ-სამი მან.:—მ. ი. რუმანმა, დეკ. გ. ცაგარეიშვილმა, დ. დ. ყიფიანმა, ს. ნ. ლორთქიფანიძემ, დონ-დამიანემ, დ. ა. ქუთათელაძემ, ვ. კ. კნიტელმა, ე. ი. ხოჯაშვილმა, ვ. ნ. ლორთქიფანიძემ, ე. ჰ. ხოჯევანოვმა, ს. თავად მაჩაბელმა, ნ. ა. ტერ-ნიკოგოსოვმა, დ. ჰ. ლილინმა, ნ. ნ. შესტოვმა, დ. გ. ჩაშიხინმა, ვ. ი. კუზარაძემ, დ. ი. ბუდზიშევმა, გ. ა. პეტროვმა, ი. ფ. პავლიმ, ა. ი. ზაგორსკიმ, კ. დ. გაბუნიამ, კ. ი. მიქაბერიძემ, ი. მ. ადხაზოვმა, ნ. ნ. სმიტმა, ვ. მ. ჯაფარიძემ, ვ. მ. აბუევმა, ნ. ვ. უგრინოვმა, გ. ს. სტავრიდიმ, ვ. ი. კარაოვმა, მ. ვ. ბარინოვმა, ჰ. ი. ლილიამ და გ. ჰ. ლილიამ; 6 მან. ნ. ს. კორომანიძემ; 2 მან. და 5 მ. ა. ე. ხრყანოვსკიმ; 1 მ. და 18 შ. ა. ი. იაგუდლოვმა; 1 მ. და 10 შ. ე. ი. ნევინისამ; 1 მ. და 2 შ. იუ. ფ. გილერტმა და წვრილმანი 1 მ. 19 შ. სულ 225 მ. და 14 შ. ყვავილები გაიყიდა 31 მ. და 9 შ.; პროგრამებიდან 28 მ. და 13 შ.; ცივი საჭმელებიდან 59 მ. და 1 შ.; ჩაიდან 32 მ და 2 აბაზი და გაყიდულ კანფეტებიდან 35 მ. და 14 შ.; სულ 187 მ. და 5 შ.

მთელი შემოსავალი 976 მ. და 7 შ.

### ბ) გასავალი.

სტამბას და ფერცლების დამრიგებელთ 14 მან. და 10 შ.; ჩაის და საუზმის მოსაწყობათ 44 მ. და 41 კ; ჩილინგაროვს კანფეტებში 19 მან.; დამატებით ნაყიდი ყვავილები 2 მ. და 18 შ.; ზალის გასუფთავებისათვის დარაჯებს 8 მ.; მუსიკას 20 მ.; წვრილმანი ხარჯი 2 მ. და 94 კ.; საქველმოქმედო შემოწირულება 24 მ. და 10 შ.; სულ დახარჯულია 135 მ. და 17 შ.

წმინდა შემოსავალი დარჩა 840 მ. და 10 შ.

ვალდებულათ ვრაცხ ჩემს თავს, უღრმესი მადლობა გადავუხადო ქუთაისის დიდათ პატივცემულ საზოგადოებას, რომელმაც თავისი უხვი შემოწირულობით ფოთის საქალო გიმნაზიას დახმარება გაუწია. მადლობელი ვარ ყველა იმ პირისა, ვინც ამ საქველმოქმედო საღამოს განხორციელებას თავის შრომით ხელი შეუწყო: ვ. ზ. მაჩაბარიანს, ა. ვ. მიქაბერიძეს, ჟ. კ. რელიგიონს, კ. კ. ყიფიანს, ე. ვ. პეტრიაშვილს, ს. ა. ოგანოვისას, თამარა გაბაევისას და კატო მიქაბერიძისას ბილეთების გაყიდვა-ორგანიზაციის მოწყობისთვის; ია. კ. ჩარკვიანს და მის პატარა მხახიობთ კონცერტის განყოფილებაში მონაწილეობის მიღებისთვის; ქუთაისის საქალებო და სავაჟო გიმნაზიების მოწაფეთ და დოქტორთ სიმღერებისა მ. ო. შარაშიძეს და ს. ი. თოფურიას, მუსიკოსთვის ი. ი. ინწკირველს და სიმეზიან ხოროს ხელმძღვანელს, მე-7 კლასის მოწაფეს ამირაღოვს—სიმღერისთვის და თამაშისთვის.

გიმნაზიის დირექტორი **ო. კოტილევსკაი.**

## წერილები რედაქციის მიმართ.

**ბ-ნო რედაქტორო!**

გთხოვთ ეს წერილი მოათავსოთ თქვენს გაზეთ „სამშობლო“-ში.

ტყიბულის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოს გამგეობა მადლობას უცხადებს ილარიონ მიქიაშვილს, პლატონ ბოჭორიშვილს, ფირან ბოჭორიშვილს, კოტე ჭყვეკაშვილს, არტემ კვახაძესა და ივლიტა არხიპოვისას, რომელთაც სრულიად გადაიხადეს 1914 წ. საწევრო ფული 2 მან.

გამგეობა აგრეთვე მადლობას უცხადებს ვალენტინა ფოთხაძისას რომელმაც სამკითხველოს შემოსწირა წიგნები ღირებული 8 მან. 7 შაურად. სამსონ კიკაჩეიშვილს—წიგნები 2 მ. 5 შ., მიხ. ბოჭორიშვილს—წიგნები 3 აბ., სილოვან ბოჭორიშვილს—წიგნები 10 შ. და ანდრეადს, რომელმაც შემოსწირა წვრილი ნივთები 10 შაურად ღირებული.

დანარჩენ წევრებს გამგეობა სთხოვს დააჩქარონ საწევრო ფულის შემოტანა.

სამკითხ. გამგეობის მდივანი

**ქრისტეფორე ანდრეადი.**

—

გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციას ვთხოვ გაზეთის საშუალებით შეატყობინოს ამ წლის ბინის გადასახადის გადამხდელებს, რომ მათ ყურადღება მიაქციონ ამ გადასახადის განცხადებების მეორე გვერდზე მოთავსებულ ამოწერილობა 4 ოქტომბრის 1914 წლის კანონის ცნობებიდან.

ბინის გადასახადი, გარდა პირველი ორი წლებისა, გადიდებულია 50 პროც. ამ ნაირად გადასახადის მომატება ყოველს თითეულ შემთხვევაში აიხსნება კანონმდებლის სურვილით და არა გამწერლების თვითნებობით.

ხარკის ინსპექტორი №

## ჩვენი ფოსტა:

აქ. რ. საჯავახოელს. თქვენი ლექსი „ეს ცილი ვინ დაიყენდა“ ვერ დაიბეჭდა. იხილეთ გაზეთ „სამშობლო“ ს 33 ე № ცარიელი ადგილი.

**თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.**

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ. „იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ. „იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20 კ.
7) ს. გორგაძე. საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ალ. გარსევანიშვილის თხზულება
9) „Поэтъ Грузіи Акакій“ 10 კ.
10) ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია.

**აქვე იყიდება საწყობი შემდეგი წიგნებისა.**

1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით · 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება სღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ.
10) ა. ჰიჰინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკ ჩემ პოლიტიკაზე 10 კ.

**რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.**

სპეციალური სახელოსნო
პარმენ ამაღლობელის
(ქუთაისი, ქარვასლის ქუჩა).



**ფეხსაცმელები ევრ. და აზიური,** როგორც კაცის, ისე ქალის. სახლში სახმარებელი ჩუსტები კაცის, ქალის და ბავშვების რუსული და ბუხრის ქუდები საუკეთესო კარაკულისა.



**ფასები სხვებთან შედარებით დაკლებულია.**

მმ. ქორქოლამის მაღაზიაში
ქუთაისში, მიხეილის ქუჩა, საკუთ. სახლი.

მიღებულია საპნის საქათმებელი სოდა ბორჯომის წყალი. საუკეთესო ფირმების სხვადასხვა ცნობილი აბრეშუმის თესლი.

ვენახის ასაკრავი რაფია „ვერმორელის“ ქარხნის სარწყავი მანქანები. და მისი ყოველივე ნაწილები, აგრეთვე ყოველგვარი ბაკალიური საქონლები.

ფ ა ს ე ბ ი ზ ო მ ი ე რ ი ა.

გ ა მ ო ვ ი დ ა და ი ყ ი დ ე ბ ა
ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში
თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.
ფ ა ს ი 60 კ ა პ. წ.

მიიღება ხელის მოწერა 1915 წ. ყოველკვირეულ სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ჟურნალ

„თ ე ა ტ რ ი და ც ხ ო ვ რ ე ბ ა“-ზე.

ჩვეულებრივის პროგრამით ივ. გომართელისა და იოს. იმედაშვილის რედაქციით

ფ ა ს ი: წლით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., თითო ნომერი 10 კაპ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 2 მ., მარტის გასვლამდე 2 მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1.

ხელისმოწერა მიიღება: რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განთიად“-ში, „ცოდნას“ წიგნთსავაჭროში, რკინის გზის სახელოსნოში—ალ. ძაძამიასთან.

მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. ფოსტის მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да цховреба“ Іосифу Имедашвили

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**